

შპს „პეპელა“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	14
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	15
6. შემოსავალი რეალიზაციიდან	15
7. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	15
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	16
10. ფინანსური შემოსავალი	16
11. ფინანსური ხარჯი	17
12. საკუროსო მოგება/(ზარალი)	17
13. ძირითადი საშუალებები	18
14. გაცემული სესხები	19
15. მიღებული სესხები	20
16. სასაქონლო მატერიალური მარაგები	21
17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
18. საგადასახადო აქტივი	23
19. ფული და ფულის ექვივალენტები	23
20. კაპიტალი	23
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
22. ფინანსური რისკების მართვა	24
23. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
24. პირობითი ვალდებულებები	28
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	30
2. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები	30
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	31
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	31
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	31
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	32
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პეპელა“-ს მენეჯმენტსა და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პეპელა“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, სავაჭრო და სხვა მოთხოვნა/ვალდებულებებში ძველ პერიოდებში არსებული უზუსტობები ასახა 2022 წლის 31 დეკემბრით პირდაპირ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში, შესადარისი პერიოდის საწყისი ნაშთის და შესადარისი პერიოდის შედეგების დაკორექტირების გარეშე. ძველი პერიოდის შეცდომის ასეთი ფორმით გასწორება არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული უზუსტობის ეფექტი 2022 წლის შედეგებსა და 2022 წლის შემომავალ ნაშთებზე. კორექტირების თანხამ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 438 ათასი ლარი.

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 6,486, 4,933 და 3,893 ათას ლარს. ჩვენ ასევე ვერ დავრწმუნდით, რომ გაუფასურების ნიშნების მქონე საქონელი წარდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანიას დიდი ხნის განმავლობაში არ ჩაუტარებია ძირითადი საშუალებების სრული ინვენტარიზაცია. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, შენობების და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფების გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში, ასეთი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 1,055, 990 და 955 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების/ვალდებულებების ნაშთის არსებობასა, სისრულესა და სიზუსტეზე 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (შენიშვნა 17 და 21), აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

კომპანია იჯარით მიღებული აქტივების საწყისი აღიარებისა და შემდგომი შეფასებისთვის იყენებს ფასს 16-ის მოთხოვნებს. თუმცა, ყველა იჯარა აღრიცხულია როგორც მოკლევადიანი მიუხედავად ხელშეკრულების პირობებისა. აღნიშნული წარმოადგენს ფასს 16-ის მოთხოვნებიდან გადახვევას. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აღნიშნული უზუსტობის ეფექტი ანგარიშგებაში წარდგენილ შედეგებსა და ნაშთებზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 29-33 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვაებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

28 იანვარი, 2025

თბილისი, საქართველო.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)



28 იანვარი, 2025

თბილისი, საქართველო.

შპს „პეპელა“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	13,319	12,990
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება სხვა შემოსავალი	7	(7,491)	(7,190)
საერთო მოგება		6,144	5,941
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,588)	(1,342)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	9	(4,375)	(4,084)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(7)	(164)
საოპერაციო მოგება		174	351
ფინანსური შემოსავალი	10	15	17
ფინანსური ხარჯი	11	(299)	(293)
საკუროსო მოგება/(ზარალი)	12	(189)	268
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(299)	343
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(299)	343

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:

გენერალური დირექტორი

ირაკლი გაგნიძე

ფინანსური
დირექტორი

ილია ჯანიაშვილი

შპს „პეპელა“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	13,319	12,990
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	7	(7,491)	(7,190)
სხვა შემოსავალი		316	141
საერთო მოგება		6,144	5,941
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,588)	(1,342)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	9	(4,375)	(4,084)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(7)	(164)
საოპერაციო მოგება		174	351
ფინანსური შემოსავალი	10	15	17
ფინანსური ხარჯი	11	(299)	(293)
საკურსო მოგება/(ზარალი)	12	(189)	268
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(299)	343
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(299)	343

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:

გენერალური დირექტორი

ირაკლი გაგნიძე



ფინანსური
დირექტორი

ილია ჯანიაშვილი

შპს „პეპელა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	13	1,055	990	955
არამატერიალური აქტივები		30	30	39
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,085	1,020	994
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	16	6,486	4,933	3,893
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	3,290	4,241	3,340
გაცემული სესხები	14	13	213	-
ფული და ფულის ექვივალენტები	19	576	620	1,021
სულ მიმდინარე აქტივები		10,365	10,007	8,254
სულ აქტივები		11,450	11,027	9,248
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	20	76	76	76
განაწილებული მოგება	20	2,505	3,044	2,262
სულ კაპიტალი		2,581	3,120	2,338
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	15	953	1,619	77
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		953	1,619	77
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	15	3,286	690	3,072
საგადასახადო ვალდებულება	18	212	199	39
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	21	4,418	5,399	3,722
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,916	6,288	6,833
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,450	11,027	9,248

შპს „პეპელა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	76	2,262	2,338
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	344	344
კორექტირების ეფექტი (შენიშვნა 20)	-	438	438
31 დეკემბერი 2022	76	3,044	3,120
მიმდინარე წლის ზარალი	-	(299)	(299)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
დივიდენდის გამოცხადება	-	(240)	(240)
31 დეკემბერი 2023	76	2,505	2,581

შპს „პეპელა“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(299)	344
არაფულადი კორექტირებები:		
კორექტირების ეფექტი (შენიშვნა 20)	-	438
ცვეთა და ამორტიზაცია	173	148
ფინანსური ხარჯი	299	293
საპროცენტო შემოსავალი	(15)	(17)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	42	24
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი	366	425
საკურსო (მოგება)/ზარალი	189	(268)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	755	1,387
სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე		
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(1,595)	(1,064)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	585	(1,331)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(989)	1,743
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	13	160
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული/(გასული) ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(1,231)	895
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	(299)	(293)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	(1,530)	602
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(232)	(212)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	-	42
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(6)	(4)
გაცემული სესხის დაბრუნება/(სესხის გაცემა)	197	(232)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(41)	(406)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	1,796	(537)
გადახდილი დივიდენდი	(240)	-
მიღებული პროცენტი	18	8
ფინანსურ აქტივობებში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,574	(529)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	3	(333)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	620	1,021
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(47)	(68)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	576	620

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს პეპელა (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2006 წლის 14 სექტემბერს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 205174808.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სათამაშოებისა და საბავშვო პროდუქციის რეალიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მაღაზიების რაოდენობა მთელი საქართველოს მასშტაბით შეადგენდა 25 ლოკაციას.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია: საქართველო, თბილისი, იოსებძის ქ., №49 (ნაკვეთი 17/1) ; ქუთათელის ქ., №3

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს შპს „ბიბლუსი“, რომლის საბოლოო ბენიფიციარ მფლობელები არიან: ირაკლი თევდორაშვილი (56%), ზაზა ბუაძე (19%), გიორგი თევდორაშვილი (10%), ირაკლი გაგნიძე (10%), რომან ანთაძე (5%).

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

განცხადება შესაბამისობაზე. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია ფასს-თან და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2022 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, ფასს-ით მოითხოვება 2023 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2022 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფასს-თან შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სტანდარტების პირველადი გამოყენება. ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიის არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან ფასს-ზე გადასვლამ ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ფასს-ით მოითხოვება ფასს-ზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამოწვევებსა და ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამოწვევების.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 1 იანვრის ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2022 წლის 1 იანვრისთვის	3.0892	3.4991

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირით ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობს ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი დასრულებული სამუშაოს ღირებულება. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა/ ცვეთის მეთოდი
მაღაზიის აღჭურვილობა	10
ოფისის აღჭურვილობა	6
სატრანსპორტო საშუალებები	8
კომპიუტერული და სხვა ტექნიკა	8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც სავალდებულოა გაუფასურებაზე ტესტირება ყოველწლიურად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღიარდება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღიარდება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI.** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში

- გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-

- ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

გაუფასურება. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამისთვის ფასდება ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც დამოკიდებულია ხელშეკრულებით არებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დონეზე. შედეგად, განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. კომპანია მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: 1) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და 2) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL). ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოიქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამოებს; ან
- ვალდებულება არის სავალ ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა - კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ასევე წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი

ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. მოთხოვნა

კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება

საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება,

როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციოგადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ფასს 15-ის მოთხოვნების მიხედვით კომპანია აღრიცხავს შემდეგი სახის შემოსავალს - შემოსავალი რეალიზაციიდან.

რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში ადგილობრივ ბაზარზე. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას.

კომპანია ყველა ოპერაციაში გამოდის პრინციპალის სახით.

მომხმარებელთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები. როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს კონტრაქტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო აქტივი ან ვალდებულება, რაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. კომპანია ვალდებულია წარადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

აქტივის დაბრუნების უფლება. ეს არის კომპანიის უფლება აღადგინოს მომხმარებლისგან დაბრუნებული მარაგის ღირებულება. ის აღიარდება დასაბრუნებელი აქტივის თვითღირებულებით, შემცირებული დაბრუნების გამო აქტივის ღირებულების შემცირებით ან მარაგის მობრუნებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

აქტივის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ეს არის კომპანიის ვალდებულება რომ დაუბრუნოს მომხმარებელს მიღებული ან მისაღები ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ და აღიარდება იმ თანხით, რისი დაბრუნების მოლოდინიც აქვს კომპანიას ანგარიშგების თარიღისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანახლებს შეფასებებს რაც გამოიყენება ამ ვალდებულებების აღსარიცხავად. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. კომპანია მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს

აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მისი ამორტიზირება თორმეტ თვეზე დიდი პერიოდის განმავლობაში.

კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ქონია კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, თუ:
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა.

• ძირითადი საშუალებებისა სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• მარაგების გაუფასურება.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის აფასებს მარაგების გაუფასურებას. კომპანია აფასებს ნელა ბრუნვადი მარაგების შესაძლო გამოყენებადობას. შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მარაგის გაუფასურებას, რომელიც წარმოადგენს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოფასებას. გაუფასურების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, წარსულ გამოცდილებას და პრაქტიკულ შედეგებს.

• საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს,

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება);
- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ის შესწორება);
- მიმწოდებლის ფინანსები (ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში);

უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსის დროებითი არარსებობა (ცვლილებები ბასს 21-ში).

6. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

დეზაგრეგირებული ინფორმაცია შემოსავლის შესახებ:

	2023	2022
შემოსავალი საცალო რეალიზაციიდან	10,453	9,561
შემოსავალი საბითუმო რეალიზაციიდან	2,659	3,264
შემოსავალი ონლაინ რეალიზაციიდან	207	165
სულ	13,319	12,990

შემოსავალი საცალო რეალიზაციიდან კატეგორიების მიხედვით:

	2023	2022
შემოსავალი სათამაშოების რეალიზაციიდან	9,942	9,231
შემოსავალი საკანცელარიო ნივთების რეალიზაციიდან	338	232
შემოსავალი წიგნების რეალიზაციიდან	94	74
შემოსავალი სამხატვრო ნივთების რეალიზაციიდან	37	13
შემოსავალი სხვა საქონლის რეალიზაციიდან	42	11
სულ	10,453	9,561

7. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასს, მარაგებთან დაკავშირებულ ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023	2022
ხელფასები და სხვა სარგებელი	(874)	(641)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რევერსი/(ხარჯი)	(366)	(425)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(87)	(25)
მივლინების ხარჯი	(48)	(15)
მარაგის გაუფასურების ხარჯი	(42)	(24)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(39)	(29)
საგადასახადო ხარჯი	(37)	(73)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(26)	(24)
იჯარის ხარჯი	(19)	(22)
სამეურნეო ხარჯი	(13)	(3)
დაზღვევის ხარჯი	(13)	(4)
საკონსულტაციო ხარჯი	(9)	(7)
სხვა	(15)	(50)
სულ	(1,588)	(1,342)

9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

	2023	2022
იჯარის ხარჯი	(1,800)	(1,851)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(910)	(759)
მარკეტინგის ხარჯი	(610)	(623)
ლოჯისტიკური ხარჯი	(379)	(180)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(216)	(162)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(121)	(137)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(86)	(123)
საგადასახადო ხარჯი	(59)	(45)
რემონტის ხარჯი	(53)	(54)
მიწოდების ხარჯი	(36)	(27)
სამეურნეო ხარჯი	(27)	(46)
საწვავის ხარჯი	(16)	(23)
ტრანსპორტირების ხარჯი	(15)	(27)
პროგრამული მომსახურების ხარჯი	(11)	(1)
სხვა	(36)	(26)
სულ	(4,375)	(4,084)

10. ფინანსური შემოსავალი

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ სესხებზე	12	13
ანაბარზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი	3	4
სულ	15	17

შპს „პეპელა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი დაწესებულებისგან აღებულ სესხზე	(295)	(265)
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი დაწესებულებისგან აღებულ გარანტიაზე	(4)	(28)
სულ	(299)	(293)

12. საკურსო მოგება/(ზარალი)

	2023	2022
სასესხო ვალდებულებები	(134)	303
ფული და ფულის ექვივალენტები	(47)	(68)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(8)	66
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	(5)
გაცემული სესხი	-	(28)
სულ	(189)	268

შპს „პეპელა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ძირითადი საშუალებები

	მაღაზიის აღჭურვილობა	სატრანსპორტ ო საშუალება	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	ელექტროტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2022	621	62	13	57	17	597	1,367
შემოსვლა	268	-	-	17	4	30	319
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	(149)	(149)
31 დეკემბერი 2022	889	62	13	74	21	478	1,537
შემოსვლა	69	-	-	59	1	103	232
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	958	62	13	133	22	581	1,769
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი 2022	(177)	(31)	(5)	(22)	(5)	(172)	(412)
ცვეთის ხარჯი	(90)	(8)	(1)	(9)	(3)	(66)	(177)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	42	42
31 დეკემბერი 2022	(267)	(39)	(6)	(31)	(8)	(196)	(547)
ცვეთის ხარჯი	(96)	(8)	(1)	(11)	(3)	(48)	(167)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(363)	(47)	(7)	(42)	(11)	(244)	(714)
საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2022	444	31	8	35	12	425	955
31 დეკემბერი 2022	622	23	7	43	13	282	990
31 დეკემბერი 2023	595	15	6	91	11	337	1,055

კომპანიის ძირითადი საშუალებები სრულად ჩადებულია სესხის უზრუნველყოფაში. კომპანიაში არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომლებსაც იყენებს კომპანია 2023, 2022 და 2021 წლის ბოლოსთვის შეადგენს: 7, 10 და 0 ლარს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევად იანი	გრძელვადიანი	სულ
სესხი დაკავშირებულ იურიდიულ პირთან	12,0%	ლარი	მოთხოვნამ დე	3	-	3
სესხი დაკავშირებულ ფიზიკურ პირთან	7,5%	დოლარი	მოთხოვნამ დე	10	-	10
სულ გაცემული სესხები				13	-	13

გაცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	მოკლევადი ანი	გრძელვადიანი	სულ
სესხი დაკავშირებულ იურიდიულ პირთან	12,0%	ლარი	2023	203	-	203
სესხი დაკავშირებულ ფიზიკურ პირთან	7,5%	დოლარი	2023	10	-	10
სულ გაცემული სესხები				213	-	213

გაცემული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
სესხის გაცემა	818
პროცენტის დარიცხვა	17
ძირის მიღება	(590)
პროცენტის მიღება	(4)
საკურსო სხვაობა	(28)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	213
სესხის გაცემა	-
პროცენტის დარიცხვა	15
ძირის მიღება	(200)
პროცენტის მიღება	(15)
საკურსო სხვაობა	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	14%	ვადიანი სესხი	ლარი	131	412	543
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	11.07%	საკრედიტო ხაზი	დოლარი	38	119	157
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	8.46%-10.55%	ვადიანი სესხი	ევრო	3,117	422	3,539
				3,286	953	4,239

მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	13.5%-14.5%	საკრედიტო ხაზი	ლარი	186	543	729
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	7.25%-7.69%	საკრედიტო ხაზი	დოლარი	105	154	259
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	6.5%-10.7%	საკრედიტო ხაზი	ევრო	393	923	1,316
სესხი დაკავშირებული იურიდიული პირისგან	12%	საკრედიტო ხაზი	ლარი	5	-	5
				689	1,620	2,309

მიღებული სესხები 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	სესხის ტიპი	ვალუტა	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	სულ
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	13.5%-14.5%	საკრედიტო ხაზი	ლარი	780	77	857
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	7.25%-7.5%	საკრედიტო ხაზი	დოლარი	635	-	635
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	6.5%-7%	საკრედიტო ხაზი	ევრო	1,509	-	1,509
სესხი დაკავშირებული იურიდიული პირისგან	12%	საკრედიტო ხაზი	ლარი	148	-	148
				3,072	77	3,149

შპს „პეპელა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიღებული სესხები, წარმოადგენს სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად აღებულ საკრედიტო ხაზებს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხდა საკრედიტო ხაზების ტრანშების დაფარვა და ახლის აღება.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	მიღებული სესხები
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,149
სესხის აღება	7,301
პროცენტის დარიცხვა	293
სესხის გადახდა	(7,838)
პროცენტის გადახდა	(293)
საკუთსო სხვაობა სესხების	(303)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,309
სესხის აღება	5,475
საპროცენტის დარიცხვა	299
სესხის გადახდა	(3,679)
პროცენტის გადახდა	(299)
საკუთსო სხვაობა სესხების	134
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,239

აღნიშნული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიას დაევალა გარკვეული ფინანსური და არაფინანსური პირობების დაკმაყოფილება. აღნიშნული კოვენანტების შესრულება დამოკიდებულია მშობელი კომპანიის ჯგუფის მონაცემებზე და არა ინდივიდუალური კომპანიებზე. შესაბამისად, კომპანიამ დამატებითი ბანკისგან მოიპოვა წერილი კოვენანტების შესრულებასთან დაკავშირებით.

ვალდებულება	სტატუსი
წმინდა საბრუნავი კაპიტალი >0	დაკმაყოფილებულია

კომპანიას ასევე აქვს ფინანსური კოვენანტები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის შედეგებზე. კერძოდ DSCR (P&L Based) >1.05x და DSCR (CF ADS) >1.05x კოეფიციენტები დაითვლება შპს ბიზნესის, შპს ბიზნესი კოს და შპს ანვოლ კავკასიას კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის მიხედვით.

16. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სარეალიზაციო მარაგები	6,657	5,063	3,999
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე შემცირება	(171)	(130)	(106)
სასაქონლო მატერიალური მარაგები, ნეტო	6,486	4,933	3,893

მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად შეადგენს 7,491 ლარს (2022: 7,190 ლარი).

შპს „პეპელა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	1,949	2,363	1,517
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	1,797	1,821	1,678
სხვა	2	82	2
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	3,748	4,266	3,197
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(593)	(270)	(153)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	3,155	3,996	3,044
გაცემული ავანსები	290	358	356
ავანსები დაკავშირებულ მხარეებთან	1	-	51
ავანსების გაუფასურების ანარიცხი	(156)	(113)	(111)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	3,290	4,241	3,340

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და გაუფასურების რეზერვში:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ნაშთი წლის დასაწყისში	(383)	(263)	-
უიმედო და საექვო ვალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებიდან	(324)	(117)	(153)
უიმედო და საექვო ვალის რეზერვი ავანსებზე	(42)	(3)	(111)
ნაშთი წლის ბოლოს	(749)	(383)	(264)

ინდივიდუალურად და ჯგუფურად გაუფასურებაზე შეფასებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ინდივიდუალურად გაუფასურებული	3,748	4,266	2,540
ჯგუფურად გაუფასურებული	-	-	657
სულ	3,748	4,266	3,197

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

		90 - 180 დღე	181 - 270 დღე	271 - 360 დღე	360-ზე მეტი	სულ
გაუფასურებაზე ჯგუფურად შეფასებული მთლიანი ღირებულება	255	87	37	33	245	657
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1)	(1)	(1)	(2)	(245)	(250)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1%	1%	3%	6%	100%	

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ყველა სავაჭრო მოთხოვნებისთვის.

როგორც ეს აღწერილია მე-20 შენიშვნაში, კომპანია გადავიდა ახალ საბუღალტრო ბაზაში რის გამოც ვეღარ მოხერხდა ჯგუფური გაუფასურებისთვის აუცილებელი მონაცემების ამოღება და შეფასება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასათვლელად. შესაბამისად, ამ თარიღებში სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურებაზე შეფასებულია ინდივიდუალურად.

18. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

19. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	332	208	488
ფული გზაში	218	356	289
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	25	55	95
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1	1	149
სულ	576	620	1,021

20. კაპიტალი

ინფორმაცია მეწილეზე მოცემულია პირველ შენიშვნაში.

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 240 ლარს.

კორექტირების ეფექტი

კომპანია 2023 წელს გადავიდა ახალ საბუღალტრო ბაზაზე, აღნიშნულის ფარგლებში მოხდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, მოთხოვნებთან დაკავშირებული რეზერვების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთების გასწორება. აღნიშნული კორექტირება სრულად აისახა კაპიტალზე შესადარისი მონაცემების კორექტირების გარეშე.

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	2,590	3,671	1,986
სავაჭრო ვალდებულებები	1,567	1,400	1,580
საკონტრაქტო ვალდებულებები	147	110	65
გადასახდელი ხელფასები	35	40	46
მიღებული ავანსები	6	4	16
სხვა ვალდებულებები	73	174	29
სულ	4,418	5,399	3,722

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს მიღებული სესხები და სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. ფინანსური ვალდებულებები აფინანსებს კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო აქტივობებს. კომპანიას ასევე აქვს საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	3,748	4,266	3,197
ფული და ფულის ექვივალენტები	576	620	1,021
გაცემული სესხები	13	213	-
სულ ფინანსური აქტივები	4,337	5,099	4,218

ფინანსური ვალდებულებები:	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,418	5,399	3,722
მიღებული სესხები	4,239	2,309	3,149
სულ ფინანსური ვალდებულებები	8,657	7,708	6,871

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე, გაცემულ სესხებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანია როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ მყიდველებს გარკვეულ შემთხვევებში სთავაზობს კრედიტით გაყიდვებს რა შემთხვევაშიც წარმოექმნება საკრედიტო რისკი.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	3,748	4,266	3,197
ფული და ფულის ექვივალენტები	576	620	1,021
გაცემული სესხები	13	213	-
სულ ფინანსური აქტივები:	4,337	5,099	4,218

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და შესაბამის პოლიტიკაზე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოემუშავა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,039	-	-	4,039
ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები	574	1	1	576
გაცემული სესხი	3	10	-	13
სულ ფინანსური აქტივები	4,616	11	1	4,628
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,970	158	290	4,418
მიღებული სესხები	542	157	3,540	4,239
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,512	315	3,830	8,657

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,624	-	-	4,624
ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები	619	1	-	620
გაცემული სესხი	203	10	-	213
სულ ფინანსური აქტივები	5,446	11	-	5,457
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,198	19	182	5,399
მიღებული სესხები	734	258	1,317	2,309
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,932	277	1,499	7,708

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,604	-	-	3,604
ნაღდი ფული და ფულის ექვივალენტები	873	148	-	1,021
სულ ფინანსური აქტივები	4,477	148	-	4,625
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,149	141	432	3,722
მიღებული სესხები	1,005	1,509	635	3,149
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,154	1,650	1,067	6,871

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(61)	(53)	(300)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	61	53	300
ევროს გამყარება 20%-ით	(766)	(300)	(213)
ევროს გაუფასურება 20%-ით	766	300	213

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

კომპანიას არ აქვს ცვლად განაკვეთიანი სესხები და, შესაბამისად, არ დგას ამ რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები, საკმარისი ორი თვის განმავლობაში. ეს გამოიწვევს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული დაფარვის ვადების მიხედვით:

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,418	-	-	4,418
მიღებული სესხები	3,286	953	-	4,239
სულ ვალდებულებები	7,704	953	-	8,657

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,399	-	-	5,399
მიღებული სესხები	690	1,619	-	2,309
სულ ვალდებულებები	6,089	1,619	-	7,708

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,722	-	-	3,722
მიღებული სესხები	3,072	77	-	3,149
სულ ვალდებულებები	6,794	77	-	6,871

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია A მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

23. დაკავშირებული მხარეები

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ნაშთები დაკავშირებული მხარეების მიმართ

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
	დაკავშირების სახე			
სავაჭრო ვალდებულებები	საერთო კონტროლს	2,590	3,671	1,986
დაკავშირებულ მხარეებთან	დაქვემდებარებული			
სავაჭრო მოთხოვნები	საერთო კონტროლს	1,949	2,363	1,517
დაკავშირებულ მხარეებთან	დაქვემდებარებული			
დაკავშირებული მხარეებზე	საერთო კონტროლს	13	213	-
გაცემული სესხები	დაქვემდებარებული			
ავანსები დაკავშირებულ	საერთო კონტროლს	1	-	51
მხარეებთან	დაქვემდებარებული			

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	დაკავშირების სახე	2023	2022
საქონლის რეალიზაცია დაკავშირებულ	საერთო კონტროლს	1,575	1,419
მხარეზე	დაქვემდებარებული		
საპროცენტო შემოსავალი	საერთო კონტროლს	12	13
	დაქვემდებარებული		
		2023	2022
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი		88	39

24. პირობითი ვალდებულებები**გადასახადები**

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ აიღო 6,832 ლარის სესხი. საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ გამოაცხადა 240 ლარის დივიდენდი.

შპს „პეპელა“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

შპს „პეპელა“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „პეპელა“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2006 წლის 14 სექტემბერს.

შპს „პეპელა“-ს მეწილეების სტრუქტურა:

კომპანიის მეწილეები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
შპს „ბიბლუსი“	100%	100%	100%

კომპანიის გენერალური დირექტორი საანგარიშგებო პერიოდში, მმართველობითი ანგარიშგების გამოცემამდე იყო ირაკლი გაგნიძე.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სათამაშოებისა და საბავშვო პროდუქციის რეალიზაცია.

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანია ახორციელებს პროდუქციის რეალიზაციას საქართველოს მასშტაბით. კომპანიას პროდუქცია შემოაქვს როგორც იმპორტით ასევე აქვს ადგილობრივი შესყიდვები.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულების მიხედვით არის შემდეგი:

	2023	2022
შემოსავალი საცალო რეალიზაციიდან	10,453	9,561
შემოსავალი საბითუმო რეალიზაციიდან	2,659	3,264
შემოსავალი ონლაინ რეალიზაციიდან	207	165
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	13,319	12,990

კომპანიის მართვასა და გადაწყვეტილებების მიღება ხდება კომპანიის დირექტორის მიერ. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის პარტნიორების მიმართ.

2. ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის შემოსავალმა შეადგინა 13,319 ათასი ლარი, კომპანიის შემოსავლები 2023 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა.

კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:

	2023	2022
სულ შემოსავალი	13,319	12,990
სულ აქტივები	11,450	11,027
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	144	135
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი*	0.42	0.33
გროს მოგების მარჟა	46%	46%
მარაგების ბრუნვა	316	250
კრედიტორების ბრუნვა	214	274
დებიტორების ბრუნვა	89	119

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „პეპელა“-ს პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 138-დან 150-მდე. კომპანიაში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა 144-ს (2022: 135). კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიანი სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს პეპელა დარეგისტრირდა 2006 წელს. ამჟამად საქართველოს მასშტაბით აქვს 28 ფილიალი. ახალი ფილიალის გახსნასთან ერთად იზრდებოდა თანამშრომელთა რაოდენობაც, 2024 წლისთვის კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა, რომელთა განვითარებაც კომპანიისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „პეპელა“ მომხმარებელს სთავაზობს ევროპული და საერთაშორისო ბრენდების სათამაშოების ფართო ასორტიმენტს ბიჭებისთვის და გოგონებისთვის. მაღაზიების გახსნასთან ერთად, ქსელში დაემატა ასორტიმენტიც. შპს პეპელა თანამშრომლობს მსოფლიოს წამყვან ბრენდებთან. მათ შორის არის კომპანია Mattel - რომლის ერთდერთი ოფიციალური დისტრიბუტორია საქართველოში. ექსკლუზიურად თანამშრომლობს: CLEMENTONI, Classic World, Dolu, Bontempi, Merchant Ambassador, Sluban, Papo, Toi-Toys, WDK. და ა.შ.

შპს პეპელას აქვს უნიკალური და ექსკლუზიური პროდუქტები. კომპანია საცალოსთან ერთად საბითუმო ვაჭრობითაც არის დაკავებული. სამომავლოდ კომპანიის მიზანია ახალ მაღაზიებთან ერთად დამატებით ექსკლუზიური პროდუქციის დამატება. თითოეული ფილიალის არსებობასა და განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპანიის საქმიანობაში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, აგრეთვე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2023 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2023	2022	გადახრის ახსნა
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6,486	4,933	შენიშვნა 1
გაცემული სესხები	13	213	შენიშვნა 2
მიღებული სესხები	4,239	2,309	შენიშვნა 3

შენიშვნა #1:

კომპანიამ 2023 წლის ბოლოს გაზარდა მარაგების ნაშთი, რაც უკავშირდება პერიოდის ბოლოს მნიშვნელოვან შესყიდვებს.

შენიშვნა #2:

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტებისგან.

შენიშვნა #3:

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო სესხი ფინანსური ინსტიტუტებისგან.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2023	2022
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,689
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	30.5	24.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	8,210	6,672
მშპ-ის რეალური ზრდა, %	7.5%	10.1%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.5%	11.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,595	2,000
უმუშევრობის დონე, %	16.4%	17.3%

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე, გაცემულ სესხს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და შესაბამის პოლიტიკაზე.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად უკავშირდება კონტრაქტებთან პროდუქციის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას. ასეთ მომსახურებებზე კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დაფინანსება დაკავშირებულია ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთთან და ამ განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შედეგებზე.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:

გენერალური დირექტორი

ირაკლი გაგნიძე

ფინანსური
დირექტორი

ილია ჯანიაშვილი

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად უკავშირდება კონტრაქტებთან პროდუქციის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას. ასეთ მომსახურებებზე კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშევა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.


საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეროვნულ ვალუტაში მოზიდული დაფინანსება დაკავშირებულია ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთთან და ამ განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა უარყოფითად მოქმედებს კომპანიის შედეგებზე.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 28 იანვარს:



გენერალური დირექტორი

ირაკლი გაგნიძე



ფინანსური
დირექტორი

ილია ჯანიაშვილი